



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 494/ს
30/11/2022

494-21-4-202211301624



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკისციხეში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. სუფსას წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკისციხეში მდ. სუფსას წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკისციხეში მდ. სუფსას მარჯვენა სანაპიროზე. საკვლევ უბანზე განვითარებულია ნაპირის ინტენსიური ეროზიული პროცესები. მდინარის კალაპოტში რამდენიმე ადგილას წარმოქმნილია ჭარბი აკუმულაციური დანაგროვები. კალაპოტის ცოცხალი კვეთის შემცირების გამო, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში განვითარებულია გვერდითი ეროზიული პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის მდ. სუფსას სანაპირო ზოლის მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X – 275021.6196; Y – 4652820.0648 და X – 274623.4011; Y – 4653063.6307. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 100 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავარიული უბნის დასაცავად და ეროზიული პროცესების შესაჩერებლად, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია 163 მეტრი სიგრძის ნაპირდამცავი ნაგებობის, კერძოდ, გაბიონის კედლის მოწყობა, ხოლო დატბორვის საწინააღმდეგოდ გათვალისწინებულია 220 მეტრი სიგრძის მქონე გრუნტის დამბის მოწყობა. გაბიონის ყუთები დაფუძნებული იქნება რენო მატრასზე, რომლის ზომა იქნება 6.0x2.0x0.3 მეტრი (81 ცალი). რენო მატრასზე მოხდება გაბიონის ყუთების დალაგება შემდეგი ზომებით: 1.5x1.0x1.0 მეტრი (163 ცალი), 2.0x1.0x1.0 მეტრი (81 ცალი) და 6.0x2.0x0.3 მეტრი (81 ცალი). გაბიონის ყუთები და რენო მატრასი მოქსოვილი იქნება 2.7 მმ დიამეტრის მქონე მავთულით. გაბიონის ყუთების შევსება მოხდება ფლეთილი ქვებით (სრული მოცულობა 698 მ³).

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. სუფსას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. სუფსას სიგრძეა 108 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 1130 კმ², ხოლო სათავიდან საპროექტო მონაკვეთამდე შესაბამისად 46.8 კმ და 285 კმ². დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯი საპროექტო უბანზე, შეადგენს 580 მ³/წმ-ს. საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი 367 მ³/წმ კალაპოტის წარეცხვის საშუალო სიღრმე მრუდხაზოვან უბანზე 2,06 მ-ის ტოლია, ხოლო კალაპოტის წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე, ასევე მრუდხაზოვან უბანზე შეადგენს - 3,30 მ-ს. რაც შეეხება მეორე უბანს, კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე 1.86 მ-ის ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მოსალოდნელი მაქსიმალური სიღრმე შეადგენს 2,98 მ-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება სამი ავტოთვითმცლელი, ასევე თითო ბულდოზერი და ექსკავატორი. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის დაწყებამდე, წყლის რეგულირების მიზნით განხორციელდება კალაპოტის გაჭრა და გრუნტის დამუშავება ექსკავატორით. აღნიშნული გრუნტი ბულდოზერის საშუალებით გადაიტანება და გამოყენებული იქნება დროებითი ჯებირის მოსაწყობად. შემდეგ ეტაპზე განხორციელდება გაბიონის კედლის მოწყობა. ბოლო ეტაპზე მოხდება დროებითი დამბის დაშლა ბულდოზერის მეშვეობით, ხოლო გრუნტი გამოყენებული იქნება გრუნტის დამბის მოსაწყობად. სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორია მოწესრიგდება, აღდგება სანიტარული მდგომარეობა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 3 თვე, ხოლო მშენებლობაზე დასაქმდება 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონარული ობიექტები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი, შესაბამისად მშენებლობის ეტაპი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისას ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას, ხმაურის და ვიბრაციის დონეები იქნება დაბალი. ამასთან, სამშენებლო ტექნიკის მიერ სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. სამუშაოების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის ბოლოს დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. სუფსისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დოკუმენტის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება

წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში. სამუშაოების დასრულების შემდგომ, სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მდინარის აუზი აღნიშნულ ნაწილში აგებულია ქვიშნარ-კონგლომერატული შრეებით, მერგელების, კენჭნარისა და ქვიშის შრეების შემცველი სხვადასხვა ასაკის თიხებით. ძირითად ქანებზე მეტწილად თიხნარია განვითარებული. საინჟინრო გეოლოგიური შეფასების მიხედვით, საკვლევ ობიექტზე მდინარის კალაპოტი და ჭალის ტერასა აგებულია კენჭნარით, ქვიშა-ქვიშნაროვანი შემავსებლით. დამუშავების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება მესამე კატეგორიას, ხოლო მასზე განლაგებული თიხნაროვანი ფენა დამუშავების მეორე კატეგორიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარის სიმცირე განპირობებულია იმით, რომ იგი წარმოადგენს მდინარის სანაპირო ზოლს, რომელიც აგებულია ალუვიური ნატანით და დელუვიონით, ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ეროზიული პროცესები. ამასთან, ანთროპოგენური დატვირთვის გამო, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან. ტერიტორიაზე ფიქსირდება მხოლოდ უმნიშვნელო ეკოლოგიური ღირებულების მქონე ერთწლიანი ბალახოვანი და ბუჩქოვანი მცენარეულობა. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო საპროექტო არეალი ღარიბია ცხოველთა სახეობების მხრივ და აქ ფიქსირდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბუკისციხეში, საქართველოს საავტომობილო გზების

დეპარტამენტის მიერ მდ. სუფსას წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო